

კითხვები ქართული ბიბლიის თარგმანის მომდინარეობის შესახებ

ანა ხარანაული

თსუ ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე: სტატია ეხება ქართული ბიბლიის თარგმანის დედანთან მიმართების კვლევის მეთოდოლოგიის პრობლემებს. კრიტიკულადაა განხილული თვალსაზრისი ქართული ბიბლიის სომხური ენიდან თარგმნის თაობაზე. მიმოხილულია ბიბლიური ტექსტების ხანმეტური ფრაგმენტების ბერძნულ დედანთან მიმართების საკითხები.

საკვანძო სიტყვები: *ბიბლიის ქართული რედაქცია, ხანმეტური ფრაგმენტები*

ქართული ქრისტიანული კულტურა - სამწერლობო კულტურა, სამწერლობო ენა, ცნებითი სისტემა, ლიტერატურული ფორმა და ა. შ. ბიბლიის თარგმანიდან იღებს სათავეს. ამდენად, იმის ცოდნა, თუ რა ენიდან, სად, რა წრეში და როდის ითარგმნა ბიბლია ქართულად, თავისთავად ბევრი სხვა ზოგადი და კონკრეტული საკითხის გარკვევის საშუალებას მოგვცემს რელიგიის, კულტურის, ისტორიის, ენის ისტორიისა და ფილოლოგიის სფეროში.

ქართულ ბიბლიის ფილოლოგიური თვალსაზრისით კვლევა, ცხადია, თარგმანის მომდინარეობის გარკვევით იწყება. უამისოდ აბსოლუტურად შეუძლებელია ბიბლიის ტექსტის დადგენა, ტექსტის ისტორიის კვლევა, მისი თარგმანის (//ების) ხასიათზე ლაპარაკი და ეგზეგეტიკური თუ ნებისმიერი სხვა ტიპის კომენტარი.

ბიბლიის ქართული თარგმანის დედნის იდენტიფიცირება თავად ამ დედანთან დაკავშირებული პრობლემების შესასწავლადაც არის საინტერესო: საინტერესოა იმის გასარკვევად, თუ რამდენად განაპირობებდა წმინდა

წერილის თარგმანის ლეგიტიმაციას მისი დედანი¹, რომელი ტექსტუალური ფორმა იყო დომინანტური ეკლესიაში მაშინ, როცა წმიდა წერილის ქართულად თარგმნა ხორციელდებოდა, როგორი იყო მისი ტექსტუალური თავისებურება, რა სემანტიკური ნიუანსების მატარებელი იყო იგი - მისი ლექსიკა და ფრაზეოლოგია, რამდენად გასაგები იყო მისი ახალი და უცხო ელემენტები სხვა რელიგიური შეხედულებებისა და სხვა სტრუქტურის ენის მქონე ერისთვის. კონკრეტული დედნის გარკვევის გარეშე შეუძლებელი იქნება ასევე ქართული თარგმანის გამოყენება შუა საუკუნეების თარგმანის ფენომენის, ანდა ენის ემანსიპაციასთან დაკავშირებული კვლევებისათვის.

მაშ, საიდან ითარგმნა ბიბლია ქართულად? რამდენად კონკრეტულად შეიძლება ვილაპარაკოთ წმიდა წერილის ქართული თარგმანის დედანზე? სანამ ამ კითხვებზე გადავიდოდეთ, ჯერ იმ ცნებებში გავერკვიოთ, რომელთა შესახებაც შემდგომში ვიმსჯელებთ.

რას ვგულისხმობთ “ბიბლიის ქართული თარგმანის” ქვეშ?

საქმე ისაა, რომ ყოველი ცალკეული წიგნის თარგმანს თავისი ისტორია აქვს, რომელიც ჩვენს ხელთ არსებულ ხელნაწერებში სხვადასხვა თვალსაზრისით, სხვადასხვა ხარისხით და სხვადასხვა დედნის მიხედვით არის ნასწორები. აქედან გამომდინარე, “ბიბლიის ქართული თარგმანის” ქვეშ ერთი მთლიანი კრებული კი არა, ძველი და ახალი აღთქმის ყოველი ცალკეული წიგნის თარგმანი ან თარგმანები იგულისხმება: მთელი რიგი ამ წიგნებისა არაერთხელ არის თარგმნილი

¹ თარგმანის ლეგიტიმაცია, როგორც ჩანს, პირდაპირ იყო დაკავშირებული დედნის ლეგიტიმურობასთან: მაგ., სემპტუაგინტას თარგმნის ისტორიის გადმოცემისას საგანგებო ყურადღება აქვს დათმობილი ებრაული დედნის ავთენტურობას და განსაკუთრებულობას [6]. თარგმანის სანდოობის და, მაშასადამე, მისი ლეგიტიმაციის საკითხი მარტო წმინდა წერილთან დაკავშირებით არ უკავშირდებოდა დედანს: გვიანდელ ქართულ კოლოფონებშიც ვხვდებით ცნობებს იმის შესახებ, თუ რამდენ ხანს ელოდნენ სათარგმნად ბერძნულ დედანს და მხოლოდ შემდეგ მიმართავდნენ სომხურს. იხ. დაჩის წერილი სტეფანე მტბევარისადმი (შატბერდის კრებული).

ქართულად¹ და მათი წარმომავლობა სხვადასხვა წყაროსთან და სხვადასხვა მწიგნობრულ წრესთან არის დაკავშირებული.

გარდა ამისა, "ბიბლიის ქართული თარგმანი" გულისხმობს თავდაპირველ თარგმანს და არა ჩვენამდე მოღწეულ იმ ტექსტუალურ ფორმას, რომელიც თავად თარგმანს, სულ ცოტა, ხუთი საუკუნით დაშორებულ ხელნაწერებში არის დადასტურებული.

როგორ დგინდება თარგმანის დედანი?

ტრადიციული აზრი ქართული თარგმანის მომდინარეობის შესახებ, რომელიც მე-19 ს-დან იღებს სათავეს და მე-20 ს. დასაწყისში იკიდებს ფეხს, უმთავრესად ქრისტიანული აღმოსავლეთის ეკლესიისა და სოციალ-პოლიტიკური ისტორიის შესახებ არსებულმა ზედაპირულმა შეხედულებებმა ჩამოაყალიბეს. შემდგომში ქართული ბიბლიის წარმომავლობა ნიკო მარის ლინგვისტური თეორიის სადემონსტრაციო ნაწილი გახდა, ხოლო ტექსტოლოგიური მონაცემების მოძიება და ინტერპრეტირება მთლიანად თეორიულ მოსაზრებებს მოერგო.²

სინამდვილეში კი თარგმანის დედანი რთული და კომპლექსური ინტრატექსტური და ინტერტექსტური კლევების საფუძველზე დგინდება. კერძოდ:

1. თარგმანი უნდა შეუდარდეს ყველა შესაძლო წყაროს - ჩვენამდე მოღწეულ ხელნაწერებს. კლევების ეს მეთოდური მოთხოვნა ქართული თარგმანის შემთხვევაში უმეტესად დაცული არ იყო და აზრი მისი მომდინარეობის შესახებ სხვადასხვა გამოცემის კრიტიკულ ტექსტთან (და არა სხვადასხვაენოვან და სხვადასხვა ტექსტუალური ტრადიციის წარმომადგენელ ცალკეულ ხელნაწერებთან) შედარების საფუძველზე ჩამოყალიბდა.

2. თარგმანის წარმომავლობის დადგენა და თარგმანის დონისა და რეცენზიული პლასტების გამიჯვნა პრაქტიკულად

¹ აქ მე გვიანდელ თარგმანებს არ ვგულისხმობ - გელათისა და ბაქარის ბიბლიაში რომაა შესული, ვგულისხმობ იმ თარგმანებს, რომლებიც ხანმეტობის ეპოქაში უკვე არსებობდა ქართულად.

² ქართული თარგმანის მომდინარეობის განსაზღვრის მეთოდოლოგიური პრობლემების შესახებ იხილეთ [7; 8].

ერთდროული პროცესია, რომელიც თარგმანის ტექნიკის შესწავლას (როგორც კონკრეტული თარგმანის სპეციფიკის, ისე, საზოგადოდ, ქართული თარგმანის ისტორიის მანძილზე ჩამოყალიბებული ტენდენციების) და ენის განვითარების ისტორიის გათვალისწინებასაც გულისხმობს. არაა სწორი, როდესაც უძველეს თარგმანს მიაკუთვნებენ იმას, რაც ენის განვითარების მოცემული ეტაპისთვის არ იყო დამახასიათებელი (მაგ. გარკვეული გრამატიკული კატეგორიების, ანდა ლექსიკური ერთეულისთვის დამახასიათებელ ეკვივალენტებს), ანდა არ შეიძლებოდა შესაბამისი ყოფილიყო თავდაპირველი თარგმანის ხასიათთან (მაგ. სიტყვასიტყვითობის იმ გაგებასთან, რომელიც გვიან ჩამოყალიბდა).

3. ტექსტები ერთმანეთს სხვადასხვა პარამეტრის მიხედვით უდარდება და ამ პარამეტრებს ერთიდაიგივე წონა არა აქვთ თარგმანის წარმომავლობის დადგენისთვის:

ქართული თარგმანის წარმომავლობის დადგენისათვის უმთავრესი პარამეტრი შესატყვისობაა სინტაქსის სფეროში: უპირველეს ყოვლისა, ეს ინფინიტური კონსტრუქციებისა და წინადადებაში სიტყვათა მიმდევრობის გადმოტანას ეხება. წინადადების სტრუქტურის ცვლილება ტექსტის ძირეულ ცვლილებებს იწვევს და რცენზენტები მას თარგმანისადმი უკიდურესი ფორმალისტური მიდგომის შემთხვევაში, უკვე მოგვიანო, ელინოფილურ პერიოდში მიმართავენ. ასე რომ, სინტაქსური კონსტრუქცია თარგმანის უძველეს პლასტს ასახავს.

დედნისეული ხელნაწერის არასწორი გაგება, ანდა გრაფიკულ ნიადაგზე წარმოქმნილი შეცდომები კარგი არგუმენტია წყაროს იდენტიფიკაციისათვის, თუმცა თუკი შეცდომების ტიპოლოგიას გავითვალისწინებთ, ამ არგუმენტსაც ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ.

ტექსტის კვანტიტატიური შედგენილობის გამოყენება წარმომავლობის კვლევის კრიტერიუმად მხოლოდ თარგმანის ტექნიკის გათვალისწინებით არის შესაძლებელი: იმის დასადგენად, ტექსტის გავრცობა ან შემოკლება, რომელიც წყაროდან მომდინარეობს, თარგმანის კუთვნილებაა თუ რევენზიისა, უნდა გავითვალისწინოთ თარგმანისა თუ რევენზირების ტენდენციები, ამისათვის კი დამატებული

ნაწილების ლექსიკური თუ გრამატიკული ეკვივალენტები ტექსტის დანარჩენ ნაწილში უნდა მოვიძიოთ.

ლექსიკა უადრესად მრავალპლანიანი კრიტერიუმია თარგმანის წარმომავლობის კვლევისას. თარგმანსა და წყაროს შორის მიმართების დასადგენად, ჩვეულებრივ, ყურადღებას ნასესხები ლექსიკა იპყრობს, რაც ხშირ შემთხვევაში არასწორი დასკვნების მიზეზი ხდება. აქ, პირველ რიგში, უნდა გათვალისწინებულ იქნას, თუ რასთან გვაქვს საქმე - ძველ ნასესხობებთან თუ სესხება უშუალოდ თარგმნის პროცესის ნაწილია. განსაკუთრებულ მეთოდურ მიდგომას საჭიროებს საკუთარი სახელების გადმოტანის შესწავლა და აქედან დასკვნების გამოტანა. უფრო საიმედო სურათს ლექსიკური ერთეულების სეგმენტაციაზე დაკვირვება იძლევა: სეგმენტირება სიტყვის დონის ქვეშ (ე.ი. სიტყვის დაშლა ნაწილებად და ამ ნაწილების ფორმალური და სემანტიკური ასახვა თარგმანში¹) და ლექსიკური ან სემანტიკური კალკირებით ნეოლოგიზმების შექმნა წყაროსთან უშუალო მიმართებაზე მეტყველებს, თუმცა იმის გარკვევა, ეს მიმართება ძველ თარგმანს უკავშირდება თუ რეცენზირების ეტაპს, ისევ თარგმანის ტექნიკისა და რეცენზიის პრინციპების გათვალისწინებით უნდა მოხდეს. ლექსიკური ეკვივალენტების სიმყარის შესწავლა (ე. წ. კონკორდანსული მეთოდი) აუცილებელი ელემენტია ლექსიკის გამოყენებისათვის თარგმანის დედნის დადგენის კრიტერიუმად.

მაშ, ქართული თარგმანი მის შესაძლო დედნებს ყველა ამ პარამეტრის მიხედვით უნდა შეუდარდეს. ამასთან, თითოეულ მათგანს გაცილებით მეტი წონა აქვს, როდესაც ისინი რომელიმე - სომხური ან ბერძნული ვერსიების ან მათი ცალკეული ტექსტუალური ჯგუფის კითხვასხვაობებს წარმოადგენენ. მაგ. როდესაც ქართული იზიარებს ერთდროულად ორივე - სომხური თარგმანისა და სეპტუაგინტას ჰექსაპლური რეცენზიის ვარიანტს, ცხადია, ვერ ვიტყვით, საიდან შევიდა ეს ვარიანტი ქართულ თარგმანში. როდესაც ქართული იმ ვარიანტს მიჰყვება, რომელიც მხოლოდ ერთ ვერსიაში გვხვდება, ეს უკვე უშუალო კავშირზე მიუთითებს. თუმცა აქაც

¹ ამ თვალსაზრისით უადრესად დაინტერესო დაკვირვება ორმაგი ზმნისწინების შესახებ იხილეთ [3].

გვაქვს "თუ": შესაძლოა საქმე ტიპოლოგიურ დამთხვევასთან გვექონდეს, მაგ. ტექსტის ერთგვარ გაგებასთან, პრობლემის ერთგვარ გადაწყვეტასთან (ასეთია, მაგ. უპირო კონსტრუქციის პირიანით გადმოცემა, ან იდიომის სემანტიკური თარგმნა, ან ენაში არარსებული ცნების ერთგვარად გადმოტანა და ა.შ.). საბოლოოდ საქმეს წყვეტს საგულდაგულოდ გაანალიზებული და დიფერენცირებული მასალის სტატისტიკური სურათი (მაგრამ არა - სტატისტიკა გაუნალიზებელი მასალისა).

როგორც ვხედავთ, თარგმანის დედნის დადგენა ტექსტის კომპლექსურ კვლევასთან არის დაკავშირებული. ახლა ვნახოთ, რამდენად სრულყოფილადაა იგი ჩატარებული იმ დასკვნების მისაღებად, დღეს რომ ცირკულირებენ ქართულ და, განსაკუთრებით უცხოურ სახელმძღვანელოებში.

რა იგულისხმება, როდესაც ქართული თარგმანის დედანზე ვლაპარაკობთ?

ერთის მხრივ, ამ დედნის ენა. აქ ორი შესაძლებლობა განიხილება: ბერძნული და სომხური¹. არცთუ იშვიათად დედანზე ლაპარაკისას ამით კმაყოფილდებიან - იმის აღნიშვნით, თუ რაენოვანი ტექსტიდან არის შესრულებული ქართული თარგმანი. ასეთ შემთხვევაში დასკვნის გამოსატანად ერთი-ორი ლექსიკური არმენიზმი ან გრეციზმი "კმარა" ხოლმე. მეორე მხრივ - იგულისხმება კონკრეტული ტექსტუალური ტრადიცია სომხური და ბერძნული ბიბლიისა. ძველი აღთქმის შემთხვევაში ბერძნული ტრადიცია, რომელსაც სეპტუაგინტას უწოდებენ, საკმაოდ მრავალფეროვანია, დაწყებული ტექსტისა და მისი გადამუშავებული, პერიფრაზირებული ფორმიდან², დამთავრებული თავად სეპტუაგინტას დიდი რეცენზიებით (ჰექსაპლური, ლუკიანური და კატენური) და ცალკეულ ხელნაწერთა ტექსტუალური ჯგუფებით. სომხური ტექსტუალური ტრადიცია, სამწუხაროდ, ყველა წიგნის

¹ იყო მოსაზრება ქართულის სირიულიდან მომდინარეობის შესახებაც და ასევე, თეორიულად არ გამოირიცხებოდა არც ძველი აღთქმის ებრაულიდან თარგმანის შესაძლებლობაც. მაგრამ დღეს, სრულიად სამართლიანად, დისკუსია ამ მიმართულებით აღარ მიმდინარეობს და ამიტომ არც მე არ ვახსენებ.

² ამგვარი ტექსტის შესახებ, იხილეთ მაგ. *მეფეთა წიგნებში* [5].

შემთხვევაში ასე კარგად შესწავლილი არაა. ხუთწიგნეულის ფარგლებში ივარაუდება, რომ ზოჰრაბის ბიბლია საკმაოდ კარგად წარმოადგენს ერთგვაროვან სურათს ხელნაწერი ტრადიციისა [1], ესაიას შემთხვევაში კი - რომ ხელნაწერები ერთმანეთს შორდებიან [2].

ახლა მოკლედ წარმოვადგინოთ ის სურათი, რომელიც ძვ. აღთქმის ქართული თარგმანის ბერძნულიდან და სომხურიდან მომდინარეობის ირგვლივ დაიხატა დღემდე. დავიწყოთ სომხურით.

რა იგულისხმება „სომხურის“ ქვეშ?

როდესაც ქართული თარგმანის სომხურიდან მომდინარეობის თეზა ყალიბდებოდა, ითვლებოდა, რომ არსებობდა უძველესი სომხური თარგმანი, ე. წ. *Armena 1*, რომელიც მხოლოდ სპორადულად არის მოღწეული ციტატებში. ითვლებოდა ასევე, რომ ეს სომხური თარგმანი უძველესი სირიული ტექსტიდან იყო შესრულებული, რომელიც ჩვენამდე მხოლოდ გვიანდელი ფორმით მოვიდა. სწორედ ამ, დაკარგული დედნების რეკონსტრუქციისათვის იყო საჭირო ქართული ტექსტი. როდესაც სირიულის ბუმი იყო ევროპაში, ქართულისადმი ინტერესსაც ეს განაპირობებდა - მასში ეძებდნენ დინოზავრის გაყინულ ნაკვალევს (მარი, ბლეიკი, მოლიტორი).

მეცნიერთა მეორე ნაწილი (ასფალგი, ქართველი მეცნიერები) „სომხურ“ ტექსტად რეალურად არსებულ სომხურ თარგმანს მიიჩნევენ, რომლის სარწმუნო წარმომადგენლადაც ზოჰრაბის გამოცემა (ტექსტი და მისი აპარატი) ითვლება.

რას ეფუძნება აზრი ქართული თარგმანის სომხურიდან მომდინარეობის შესახებ?

იდეა მომდინარეობს ექსტრატექსტური მოსაზრებიდან, რომ ქრისტიანობა საქართველოში სომხეთიდან შემოვიდა და რომ, შესაბამისად, ქართული მწიგნობრული კულტურაც, ანბანის შექმნიდან დაწყებული, სომხურის გზით ჩამოყალიბდა. ეს უპირველესი მეთოდოლოგიური შეცდომაა - ტექსტის შესახებ მსჯელობა მხოლოდ მისი, თუნდაც სწორად გაგებული კონტექსტის საფუძველზე.

რაც შეეხება ტექსტოლოგიურ მონაცემებს: ტრადიციულად ყველაზე დიდ მნიშვნელობას ლექსიკურ

არმენიზმებს ანიჭებენ. ამასთან, ხშირად მხედველობაში არაა მიღებული, რომ საქმე შეიძლება გვექონდეს ძველ, ენაში უკვე დამკვიდრებულ ნასესხობასთან, რაზეც ისიც მეტყველებს, რომ სომხური ტექსტის შესაბამის ადგილას ეს სიტყვა არ დგას ხოლმე. ასევე, ხშირად არმენიზმებად მიიჩნევა მაგ. ფალაურიდან ქართულში და სომხურში ერთნაირად შესული სიტყვები. ლექსიკურ არმენიზმად მიიჩნევა ასევე სომხურის და ქართულის ტიპოლოგიური დამთხვევები ლქსიკური ეკვივალენტების შერჩევისას (მაგ. გარკვეული ცნებების აღწერითი თარგმანი - „ლომის შვილი“) და ა.შ.

ფორმალური შესაბამისობების ანალიზიც არასწორი მეთოდით ხორციელდება: ანგარიში არ ეწევა ენის შესაძლებლობებს და ენობრივ მიდრეკილებებს - მაგ. იმას, რომ ინფინიტურ კონსტრუქციების ეკვივალენტად ქართულიცა და სომხურიც დამოკიდებულ წინადადებას ამჯობინებს და ა.შ.

ასევეა კვანტიტატიური შესაბამისობის შეთხვევაში: უშემასმენლო წინადადებაში ორივე ენისათვის უფრო ბუნებრივია შემასმენლის აღდგენა, ანდა - ორივე ენაზე მთარგმნელი ერთსადაიმავე მთარგმნელობით ხერხს მიმართავს - ბაძავს დედანს და ნაცვალსახელს ამატებს გარკვეული ტიპის სახელებს.

სიტყვათა მიმდევრობის მსგავსებასაც ასევე, ენაში არსებული ტენდენცია შეიძლება განაპირობებდეს: მაგ. შედგენილი შემასმენლის სახელადი და ზმნური ნაწილები ერთმანეთის გვერდით უნდა იდგნენ და ა.შ.

გრამატიკული თანხვედრებიც ასევე, ტიპოლოგიური დამთხვევის შედეგი შეიძლება იყოს: მაგ. გენერალური მნიშვნელობის მქონე მხოლობითისა და მრავლობითის მონაცვლეობა ბუნებრივია ქართულისათვის და ამ თვალსაზრისით რიცხვში შესაბამისობები არარელევანტურია თარგმანის წარმომავლობის დასადგენად.

იმის გამო, რომ სრულყოფილად არაა გათვალისწინებული წყაროები, სამეცნიერო ლიტერატურაში სომხურთან „ნათესაობის“ არგუმენტები იმ მაგალითებსაც ეყრდნობა, რომელსაც სომხურის გარდა სხვა, ქართულთან ახლოს მდგომი ბერძნული ხელნაწერების ჯგუფებიც ადასტურებენ.

მხედველობაში მიიღება მხოლოდ მსგავსება სომხურთან და იგნორირებულია განსხვავებები, ცალკე არ განიხილება ქართულის მიმართება სომხურის კითხვასხვაობებთან.

მაგრამ იმ შემთხვევაშიც, როდესაც განსხვავებები სომხურის კითხვასხვაობებისგან თვალნათელია და ყველა ზემოჩამოთვლილი პარამეტრით ქართული თარგმანი საგრძნობლად იხრება სეპტუაგინტას და მისი რეცენზიებისაკენ სომხურის საწინააღმდეგოდ, მიიჩნევა ან, რომ ის სომხური ტექსტი, რომელიც ქართულს ედო საფუძვლად, ჩვენამდე არ მოღწეულა, ანდა, რომ ქართული მძლავრად იქნა რეცენზირებული, თანაც არაერთხელ, ბერძნულის მიხედვით. ეს კი, იმათივე გაკვირვებას იწვევს, ვინც ამ აზრს გამოთქვამს (ი. ასფალგი), რადგანაც ათონამდე ასეთი დაკვეთა - წმინდა წერილის მიზანმიმართული სწორება ბერძნულის მიხედვით არ ივარაუდება.

რატომ მიიჩნევა, რომ ქართული თარგმანის ტექსტი ბერძნულის მიხედვით გასწორდა და არა სომხურის? რადგანაც საეჭვოდ თვლიან, რომ ეკლესიათა განყოფის შემდეგ სწორება სომხურის მიხედვით მომხდრიყო. მაგრამ თუ მონოფიზიტი ქართველების ინტერესს გავითვალისწინებთ - ჰქონოდათ მათთვის სარწმუნო წმინდა წერილი, სომხურის მიხედვით ქართულის სწორება სწორედაც რომ განყოფის შემდეგ უნდა ვივარაუდოთ. ამას მხარს უჭერს ისიც, რომ ეს, სომხურის მიხედვით მასიურად ნასწორები ტექსტები მხოლოდ ერთეულ ხელნაწერებშია შემონახული - მაგ. ფსალმუნის მცხეთურ ხელნაწერში, ანდა ადიშის სახარებაში.

მოკლედ, ბიბლიის ქართული თარგმანის სომხურიდან მომდინარეობის თეორიის ლოგიკა ასეთია: თუ ქართული რაიმე თვალსაზრისით მისდევს სომხურს, ეს იმის ნიშანია, რომ იგი სომხურიდან არის თარგმნილი, თუ არ მისდევს - ე.ი. ის ან ბერძნულის მიხედვითაა ნასწორები, ან ერთადერთი წყაროა, რომელმაც ჩვენამდე არმოღწეული უძველესი სომხური და მისი შესაბამისი სირიული ტექსტები შემოგვინახა.

ახლა ისევ თავიდან მივუბრუნდეთ კითხვას ქართულ-სომხური ტექსტების ერთმანეთთან მიმართების შესახებ. რა დასკვნის გამოტანა შეიძლება ძვ. აღთქმის იმ წიგნებთან დაკავშირებით, რომლებიც ტექსტოლოგიური თვალსაზრისით მეტ-ნაკლებად კარგადაა შესწავლილი?

ამ წიგნების ქართული თარგმანის საფუძველზე შეიძლება ვილაპარაკოთ ქართულ-სომხური თარგმანების ურთიერთდამოკიდებულების ორ სახეზე:

1. ერთი ნაწილი ძვ. აღთქმის წიგნებისა - მაგ. მეფეთა წიგნები, ფსალმუნები, სომხურის მიხედვით არის ნასწორები. ეს სწორება ძირითადად ლექსიკასა და ტექსტის კვანტიტატიურ შედგენილობას - სომხურის მიხედვით მატებებს ეხება.

რაც შეეხება უშუალოდ სომხურიდან მომდინარე თარგმანს, ასეთი აქამდე ერთადერთი ტექსტია გამოვლენილი - ეზრა 1-ის ის ვერსია, რომელიც ოშკურმა ბიბლიამ შემოგვინახა. ეს დამოკიდებულება ყველა ტექსტუალური მონაცემით დასტურდება და განსაკუთრებით კარგად ჩანს ბერძნულ ტექსტთან შეპირისპირების შედეგად: 1. ქართული და სომხური ტექსტები ერთსადაიმავე ბერძნულ დედანს მიჰყვებიან, რომელიც მკვეთრად ემიჯნება სეპტუაგინტას ლუკიანურ ტრადიციას; 2. ქართული სომხურს მიჰყვება და უპირისპირდება ბერძნულს სინტაქსური კონსტრუქციებით, ბერძნული ბრუნვების და თანდებულების ფუნქციის გადმოცემით, სიტყვათა რიგით; 3. ლექსიკური ერთეულები ქართულში სომხურის შესაბამისად არის გადმოტანილი: ერთი სეგმენტით არის ნათარგმნი ბერძნული კომპოზიტი და პირიქით - კომპოზიტთაა ნათარგმნი ბერძნული მარტივი სიტყვა; 4. ქართულის ფრაზეოლოგია სიტყვასიტყვით მიჰყვება ბერძნულიდან თავისუფლად თარგმნილ სომხურ ფრაზას, იდიომებსაც და სეპტუაგინტასთვის დამახასიათებელ შესიტყვებებსაც ისე თარგმნის, როგორც სომხური; 5. სომხურს მისდევს ქართული ასევე კვანტიტატიური თვალსაზრისით: უმატებს იმას და იქ, რასაც და სადაც - სომხური და ასევე - მისდევს სომხურის მინუსებს.

ასე რომ, ეზრა 1-ის ეს ტექსტი შეიძლება ნიმუშად გამოვიყენოთ სომხურიდან მომავალი თარგმანის დასახასიათებლად იმისათვის, რომ თვალნათელი გახდეს ის ზღვარი, რომელიც დევს სომხურიდან ნათარგმნი, სომხურის მიხედვით რეცენზირებულ და იმ ქართულ ტექსტს შორის, რომელიც სომხურისაგან სრულიად დამოუკიდებლად არის წარმოქმნილი.

მაგრამ ეზრა 1-ის სომხურიდან განხორციელებული თარგმანი ოშკური ხელნაწერისა ამ წიგნის ერთადერთი და

უძველესი თარგმანი არაა. და მოდით, ამ წინადადებით გადავიდეთ იმ მოკლე გზაზე, რომელსაც ქართული ბიბლიის საწყისებისკენ მივყევართ.

უძველესი ქართული თარგმანი და ხანმეტი ფრაგმენტები

ხანმეტმა ფრაგმენტებმა (მე ძველი აღთქმის ფრაგმენტებს ვგულისხმობ, რომელიც შესწავლილი მაქვს და არ ვილაპარაკებ ხანმეტ სახარებაზე) მართლაც გაამართლეს ის მოლოდინი, რომელიც მე-20 ს-ის დასაწყისში გააღვიძა მათმა აღმოჩენამ.

მათ, პირველ რიგში, საშუალება მოგვცეს გავრკვეულიყავით ბიბლიის თარგმნის ისტორიის მრავალფეროვნებაში. აღმოჩნდა, რომ ეზრა 1 და იერემიას წინასწარმეტყველება, რომელთა უძველესი თარგმანი ჩვენთვის ოშკური ხელნაწერით იყო ცნობილი, ხანმეტ ფრაგმენტებში განსხვავებული თარგმანითაა წარმოდგენილი. ხოლო იმავე ოშკური ხელნაწერის ესაიას წინასწარმეტყველება ფაქტობრივად იმეორებს ხანმეტი ფრაგმენტის ტექსტს. ამჯერად ჩვენ არ გვინტერესებს მიზეზი ამ მრავალფეროვნებისა. ახლა ჩვენ მხოლოდ იმ ტექსტების წარმომავლობაზე ვლაპარაკობთ, რომელთაც ჩვენამდე მოაღწიეს და იმის დადგენა გვინტერესებს, რამდენად წარმოადგენენ ეს ტექსტუალური ფორმები უძველეს თარგმანს. ხანმეტი ფრაგმენტები ამ თვალსაზრისით გასაღებია პრობლემისა - ისინი დოკუმენტურად ადასტურებენ ქართული თარგმანის ტექსტის იმ ფორმას, რომელიც მე-5-მე-7 სს-ებში იყო მიმოქცევაში. მაგრამ სანამ ამ თარგმანის წარმომავლობაზე ვისაუბრებდეთ, ჯერ იმ ტექსტუალურ ტრადიციაში გავერკვეთ, რომელიც ახლადმოქცეულ ქვეყანას დახვდა მთელ ქრისტიანულ ეკლესიაში (და აქ მე ისევ ძველ აღთქმაზე ვილაპარაკებ).

რა იგულისხმება „ბერძნულის“ ქვეშ?

მე-4 ს-ის დასაწყისში იერონიმე სამ ურთიერთგანსხვავებულ ტექსტზე (*trifaria arietis*) ლაპარაკობს, რომელიც საქრისტიანოს სხვადასხვა კუთხეში იყო გავრცელებული: პალესტინაში ორიგენეს ტექსტზე, ანტიოქიასა და კონსტანტინოპოლში - ლუკიანურ და ეგვიპტეში - ჰესუქიოსის ტექსტზე. რა იყო მანამდე, რამდენად ერთგვაროვანი იყო ეკლესიაში გამოყენებული ტექსტი და რამდენად ახლოს იდგა იგი

თავდაპირველ თარგმანთან, სეპტუაგინტასთან, ან რამდენად განსხვავდებოდა მისგან, არ ვიცით, ან ძალიან ცუდად ვიცით - ვფიქრობთ, მაგ., რომ ორიგენემდე იგი უკვე ნასწორები იყო ებრაულის მიხედვით, შეგვიძლია ისიც ვივარაუდოთ, რომ მთელს ეკლესიაში ე.წ. ვულგატას მყარი ტექსტი არ უნდა არსებულიყო, რამდენადაც უძველესი, მე-4 ს-ის კოდექსების (ვატიკანის, სინას) ტექსტები უკვე განსხვავებულია ერთმანეთისგან.

რომელი ტექსტუალური ტიპიდან შეიძლება თარგმნილიყო ძველი აღთქმა ქართულად? თეორიულად არცერთი არაა გამორიცხული - არც პრეკექსაპლური ტექსტი და არც ის სამი ტექსტუალური ფორმა, რომელთა შესახებაც იერონიმე ლაპარაკობს, რამდენადაც ადრექრისტიანულ ხანაში ქართველ ქრისტიანთა კვალი სამივე ამ რეგიონში (პალესტინა, ანტიოქია-კონსტანტინეპოლი, ეგვიპტე) საკმაოდ მკვეთრია. მაგრამ რა აჩვენა ხანმეტ ფრაგმენტთა ტექსტოლოგიურმა კვლევამ?

ხანმეტ ფრაგმენტებში დაცული თარგმანების წარმომავლობა [9] ხანმეტი ეზრა 1, როგორც ვთქვი, სომხურიდან თარგმნილი ოშკური ეზრა 1-ისაგან სრულიად განსხვავებული თარგმანია. ყველა იმ პარამეტრის მიხედვით, რომლითაც თარგმანის წარმომავლობა დგინდება, იგი ეზრა 1-ის ლუკიანური რეცენზიის ბერძნული ხელნაწერიდან თარგმნილი ტექსტია და ისევე მკვეთრად განსხვავდება სხვა ტექსტუალური ჯგუფებისაგან, როგორც მისი ლუკიანური დედანი. უფრო მეტიც, იმ ორ ხელნაწერთაგან, რომელიც ამ რეცენზიის ტექსტს ქმნიან, ის უფრო ახლოა ერთ-ერთ, 108-ე ხელნაწერთან და ცალკეულ შემთხვევაში მასზე ავთენტურად იცავს ლუკიანური რეცენზიის სახეს. თავის მიმართებაში ლუკიანურ ხელნაწერებთან ფრაგმენტი თანმიმდევრულია ტექსტის ორი სხვადასხვა მონაკვეთის მანძილზე: 1. საკუთარ სახელთა ჩამონათვალში (თ. 9) იცავს როგორც ამ სახელთა ფორმებს (მცდარი იკითხვისები, რომელთაც ფრაგმენტი შეიცავს, ბერძნული მაიუსკულური ასოების ადრევიტ იხსნება და ესეც იმის დადასტურებაა, რომ თარგმანი ბერძნული ხელნაწერიდანაა შესრულებული), ისე მათს მიმდევრობას; 2. ტექსტის ნარატიულ ნაწილში (თ. 1-2) ასახავს ლუკიანური

ხელნაწერების კვანტიტატიურ შედგენილობას, ლექსიკურ შენაკვლებას, სიტყვათა მიმდევრობას. 1 ეზრას ამ ტექსტს სომხურის არავითარი კვალი არ ატყვია.

ხანმეტი იერემიას დამოკიდებულება ოშკური და იერუსალიმური ხელნაწერების იერემიასთან და მის ბერძნულ-სომხურ ეკვივალენტებთან ისეთ თვალნათელ სურათს არ იძლევა, როგორც ეზრა 1-ის ორი ქართული თარგმანის ერთპანეთთან და ბერძნულ-სომხურ ტექსტებთან შედარება. ამის მიზეზი ის არის, რომ იერემიას ორივე თარგმანი ერთადიმავე დედნიდან - იერემიას ჰექსაპლური რეცენზიიდან მომდინარეობს და თარგმანის ტექნიკაც, ზოგად ხაზებში, ერთაა. ამავე მიზეზით არაა თვალშისაცემი იერემიას ორივე ქართული თარგმანის განსხვავება სომხურისაგან ბერძნულის სასარგებლოდ: სომხურიც სეპტუაგინტას ჰექსაპლური რეცენზიის ტექსტის თარგმანია. მაშასადამე, გამოსავალი ისაა, დაფუკვირდეთ, რა სურათს გვაძლევენ ქართული თარგმანები, როდესაც სომხური თავის ბერძნულ დედანს შორდება. ამგვარი შედარება ქართულისა სომხურის კითხვასხვაობთან ისევ ბერძნული ჰექსაპლური რეცენზიის ხელნაწერს გვავარაუდებინებს ქართული თარგმანების დედნად.

ხანმეტი ესაიას შემთხვევაში განსხვავება სომხურისაგან ისევ მკვეთრია - ქართული თარგმანი ლუკიანურ რეცენზიას მიჰყვება, ჩემი აზრით, ამ რეცენზიის უძველეს ფენას, სომხური კი ხშირად დგას ამ ლუკიანური კითხვასხვაობების წინააღმდეგ. ამავე დროს, ქართული არ იზიარებს სომხურის ვარიანტებს არც მაშინ, როდესაც ეს უკანასკნელი ჰქსაპლურ წყაროებთან ერთად ლუკიანურის წინააღმდეგ დგას (ერთი გამონაკლისით) და არც მის კითხვასხვაობებს - დამატებებს, კლებას, სიტყვათა გადაადგილებას, ლექსიკურ ცვლილებებს.

ამრიგად, ძვ. აღთქმის ხანმეტი ფრაგმენტები ერთმნიშვნელოვნად ადასტურებენ, რომ ქართული თარგმანის ჩვენამდე მოღწეული უძველესი ფენა სრულიად თავისუფალია სომხურის კვალისგან და საკმაოდ კარგად ასახავს კონკრეტულ ბერძნულ ტექსტულურ ტრადიციას.

ე. წ. ოშკური ტიპის ტექსტის წარმომავლობა

ხანმეტი ფრაგმენტების შემდეგ ძველი აღთქმის უძველესი ხელნაწერი ცნობილი ოშკის კოდექსია (978). იერუსალიმის

წინასწარმეტყველთა ტექსტების კრებულისა (იერ. 7/11, 11 ს.) და იერუსალიმის (იერ. 113, 13 ს.) ხელნაწერებთან ერთად მას ქართულ არქეტიპთან მეტ-ნაკლებად ახლოს მდგომი ტექსტი აქვს დაცული, რომელსაც, პირობითად, ოშკური ტიპის ტექსტს ვარქმევ, თუმცა ამ ტერმინის ქვეშ არ ერთიანდება არც ერთი და იმავე წარმომავლობის, არც ერთი და იმავე ისტორიის მქონე თარგმანები.

თუ წინასწარმეტყველთა ტექსტების თემას გავაგრძელებთ, ოშკურ-იერუსალიმური ხელნაწერების თარგმანებიც ასევე, ბერძნულიდან მომდინარეობენ. ამოსის წიგნის ლექსიკა: ზმნისწინიანი ფორმები, კომპოზიციები, საკუთარ სახელთა გადმოტანა, სემანტიკური განსხვავებები, სპეციფიკური ფრაზეოლოგიის სხვადასხვა ხერხით გადმოცემა, სხვადასხვა ტექსტუალური ტრადიცია და ბოლოს, ბერძნულიდან მომდინარე მცდარი თარგმანები - ყველაფერი ეს ქართულის ბერძნულიდან მომდინარეობაზე მეტყველებს და სომხურის არანაირ კვალს არ ადასტურებს. ინფინიტური კონსტრუქციების გადმოტანა, სომხური კითხვასხვაობების საწინააღმდეგოდ სიტყვების მიმდევრობა და ტექსტის კვანტიტატიური შედგენილობა ამ დასკვნას კიდევ უფრო აძლიერებს.

ისტორიულ წიგნებს შორის მეფეთა წიგნები უაღრესად რთული ტექსტუალური შედგენილობისაა, რომელიც, როგორც ჩანს, ლუკიანური და ჰექსაპლური წარმომავლობის ქართული თარგმანების კონტამინირების შედეგია. ზოგიერთ ხელნაწერში სავარაუდო სომხურის გავლენები ჯერ კიდევ შესასწავლია.

სოლომონის წიგნების წარმომავლობის კვლევა კიდევ უფრო ამდიდრებს ჩვენს ცოდნას ძველი აღთქმის სათავეების შესახებ: მაგ. ეკლესიასტე ეგვიპტური ტრადიციის ტექსტთან (პაპირუსი და სინას კოდექსი) ავლენს კავშირს.

ქართულად ესთერის ორი ვერსიაა თარგმნილი და მათაც უმუალოდ ბერძნული დედანი უდევს საფუძვლად. ოშკური ხელნაწერის თარგმანი ბერძნული ესთერის იმ ვერსიიდანაა შესრულებული, რომელიც ალფა ტექსტის სახელითაა ცნობილი და რომელის სომხური ეკვივალენტი ცნობილი არ არის.

ერთმნიშვნელოვანია ძველი აღთქმის ე. წ. აპოკრიფული წიგნების მომდინარეობა: მაგ. ოშკური ხელნაწერის ტობის წიგნი სომხურისაგან განსხვავებული, LXXIII ვერსიიდანაა

თარგმნილი, ბარუქი - ლუკიანური რეცენზიიდან, მაშინ, როდესაც სომხური უფრო ჰექსაპლურ რეცენზიასთან ამჟღავნებს ნათესაობას.

ცალკე უნდა გამოვყოთ ფსალმუნის ქართული თარგმანიც, რომლის უძველესი ფენაც სინურ ხელნაწერებშია დაცული და საკმაოდ მყარია ტექსტუალური თვალსაზრისით. იგი ბერძნული ფსალმუნის ე. წ. ეგვიპტური ტრადიციის წყაროებს ენათესავება. ეს ქართული თარგმანი, რომელიც, როგორც ჩანს, გიორგი ათონელის რეცენზიამდე ვულგატა იყო ქართული ეკლესიისთვის, სომხურის მიხედვითაა ნასწორები ე.წ. მცხეთურ ხელნაწერში.

ეს მოკლე შეჯამება ამ ბოლო ათწლეულში ჩატარებული კვლევებისა ბიბლიის ქართული თარგმანის მომდინარეობის შესახებ, ცხადია, არ არის საკმარისი იმ სკეპსის თუ უმეცრების გასაქრობად, რომელიც ქართული თარგმანის მიმართ არსებობს ჩვენთან თუ დასავლეთში. წერილის მიზანი მხოლოდ ის იყო, რომ წინ წამოეწია ქართული თარგმანის მომდინარეობის კვლევასთან დაკავშირებული მეთოდური საკითხები და იმ ახალი თვალსაზრისისთვის მიეპყრო ყურადღება, რომელიც ბოლო ხანს გაჩნდა მეცნიერულ პრესაში.

მითითებული ლიტერატურა:

1. Cox Claude E., "The Armenian Translation of Deuteronomy, University of Pennsylvania", *Armenian Text and Studies* 2, 1981; Seytounian A. S. (ed.), *Liber Exodi*, Erevan, 1992.
2. Stone Michael E., "The Old Armenian Version of Isaiah: Towards the Choice of the Base Text for an Edition", *Textus*, VIII, Jerusalem 1973, pp. 107-125.
3. უტიე ბ., "ზმნისწინები და ქართული ბიბლიის დედანი", *ენათმეცნიერების საკითხები*, 2009 (1-2), გვ. 229-232.
4. *შატბერდის კრებული*, "მეცნიერება", 1979, 365.
5. ცინდელიანი უ., "ერთი რედაქციული თავისებურების გამო მეფეთა წიგნებში (მოკლე რედაქცია)", *მრავალთავი*, X, 1983, გვ. 50-74.

6. ხარანაული ა., "წმიდა წერილის თარგმანები" (თარგმანის ისტორია, მთარგმნელები, თარგმანის ენა), *რწმენა და ცოდნა*, #2(6) 2001,10-24; #3(7) 2001, 10-21.
7. ხარანაული ა., "ბიბლიის ქართული თარგმანების დედანი და კვლევის მეთოდოლოგიური პრობლემები", *გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი*, 2003, IX, 26-37.
8. ხარანაული ა., "ბიბლიის ძველი ქართული თარგმანის ტექნიკა (ხანმეტი ესაიას, იერემიას და ეზრა I-ის ფრაგმენტების მაგალითზე)", *ბიზანტინოლოგია საქართველოში - 2*, 2009, გვ. 938-968.
9. ხარანაული ა., "ძველი აღთქმის ხანმეტი ფრაგმენტები და ქართული ბიბლიის წარმომავლობის საკითხები", *ქართველოლოგი*, #11, თბილისი 2004, 54-77 (ქართულ და ინგლისურ ენებზე).